სარჯიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი შაბათი 10 მაისი 2008 №105 (3329) ფასი 50 თეთრი

50 000 დოლარი სამხილისთვის

ფოტო ფილიპე ფილიპეშვილის

არანორმალურობა, აბსურდი, უაზრობა, სისულელე თუ... რა ითამაშეს ზმსტაფონმა და დინამომ?

ფოტო ალექსანდრ ალექსიძის

ფოტო ალექსანდრ ალექსიძის

ბიპატაკებთ: საპატაკო არაფერია!

ფაკანსია: სამუშაოდ ვიწვევთ მათ, ვინც ფერაფერს ხედავს

ფოტო ალექსანდრ ალექსიძის

ლევან ყენია პროფესიონალია ახალი ერა: შალკე 2012

ცოდვის ჭირილის ჭური

დილა მხარდამჭერებს ელოდება

ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში ახალციხელთა მასპინძელი „ამერი" თასის ფინალზეც იფიქრებს

ფოტო ალექსანდრ ალექსიძის

ფოტო ანანიეთვილის

ლაშა გოგიტაძის რომი და პეკინი

ესეც მეოთხე ოლიმპიური ლიცენზია ქართველი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთათვის!

რომის საერთაშორისო ტურნირზე ჩვენმა ლაშა გოგიტაძემ (55 კგ) ბრინჯაო მოიგო. ოქრო კარგი კი იქნებოდა, მაგრამ მთავარი მაინც გაკეთდა: ამ სალიცენზიო ტურნირზე მესამეობა პეკინის საგზურისთვის საკმარისი იყო.

შალკემ შეუძლებელი შეძლო: ლევან ყენია პროფესიონალია!

საქართველოს ნაკრების 17 წლის ფეხბურთელმა ლევან ყენიამ „შალკესთან“ 2012 წლამდე გააფორმა პროფესიული კონტრაქტი! გელზერკირხენული კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელზე არანაკლებ არის გახარებული ამ ამბით — გეცოდინებათ, აქამდე ეს საკითხი ყენიას არასრულწლოვანობის გამო ვერ ხერხდებოდა. „მოხარულები ვართ, რომ ნიჭიერი ფეხბურთელი პროფესიონალად ვაქციეთ. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ ტალანტების მოსაძიებლად ნაყოფიერად ვმუშაობთ“ — აცხადებს „შალკეს“ მენეჯერი ანდრეას მიულერი. „ლევანი სწრაფია, აქვს შესანიშნავი ტექნიკა და უბადლო პასი. მას კიდევ შეეძლო, ახალგაზრდულ გუნდში ეთამაშა, მაგრამ აქვს შესაძლებლობა, უფრო მეტს მიაღწიოს. ერთია, აუცილებლად დასჭირდება აკლიმატიზაციის გავლა და იმედია, ამ პერიოდს მოთმინებით გაივლის“ — ეს სიტყვები კი 19-წლამდელთა გუნდის მწვრთნელ ნორბერტ ელგერტს ეკუთვნის. გუშინ ყენიას გელზენკირხენში შევეხმიანეთ...

— უზომოდ გახარებული ვარ, რომ ეს შანსი მომეცა და შემეძლება, ბევრი კარგი და გამოცდილი ფეხბურთელის გვერდით ვითამაშო და ვისწავლო.

— თითქოს 18 წლამდე კონტრაქტი არ უნდა გაგეფორმებინა. რამ დააჩქარა ეს პროცესი?

— შემპირდნენ, რომ სამი თვით ადრეც მოახერხებდნენ ამის გაკეთებას, მაგრამ ცოტა კიდევ უფრო დააჩქარეს — უკვე ოფიციალურად ვარ „შალკეს“ ფეხბურთელი.

— უკვე მათთან ერთადაც ხომ არ ვარჯიშობ?

— ჯერ არა. სეზონი რომ დამთავრდება, ალბათ მერე გადავალ.

— 19-წლამდელებსა და მთავარ გუნდს შორის დიდი სხვაობაა. რამდენად ხარ მზად „შალკეში“ სათამაშოდ?

— სხვაობა მართლაც დიდია, მაგრამ სეზონის დაწყებამდე შევეცდები, უკეთ მოვემზადო და იმედი მაქვს, 18-კაციან განაცხადში მუდმივად ვიქნები.

— 19-წლამდელთა გუნდში ბოლო მატჩში არ გაგიტანია, მაგრამ კარგი პრესა გქონდა...

— მანამდე გავიტანე, ბოლო მატჩი კი, ჩემი აზრით, მართლა კარგად ვითამაშე. საერთოდ, გუნდიც კარგად თამაშობს. ზედიზედ ვიგებთ, მეორე ადგილზე ვართ და ჩემპიონობის შანსიც გვაქვს. ეგაა, სეზონის ბოლოა და ცოტა კი დავიღალე.

— გარდა იმისა, რომ სეზონის ბოლოა, ფიზიკური დატვირთვები ვარჯიშებზეც საკმაო იქნება...

— ძალიან განსხვავებულია აქაური დატვირთვები. ასეთი მძიმე და დამღლელი სეზონი ჯერ არ მქონია.

— და საქართველოში არ შეიძლება ასეთი ვარჯიშების ჩატარება?

— როგორ არ შეიძლება, მაგრამ ალბათ მიზეზი უფრო პირობებია. აქ ყველაფერი იდეალურია — ვარჯიში, აღდგენა, მინდორი, კვება... ეს ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოში ასეთი პირობები არ არის და...

— მაისის ბოლოს სანაკრებო მატჩებია. მზად ხარ, სათამაშოდ?

— მთავარია, ახალმა მწვრთნელმა დამიძახოს, ნაკრებში ჩამოსვლაზე უარს არ ვიტყვი. როგორ ფორმაში ვიქნები, ეს უკვე მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

სარბიელელები თანაგრძნობას ვუცხადებთ მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ვიტალი გრძელიშვილს

შვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო

საქართველოს და თბილისის ფეხბურთის ფედერაციები თანაგრძნობას უცხადებენ მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ვიტალი გრძელიშვილს

შვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო

ვის უნდა 50 000?

კოკაია მტკიცებულებებში დიდ ფულს იხდის



ბუბა ტყავაძე და ილია კოკაია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოპოზიციური ორგანიზაცია „ჩვენი ფეხბურთის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ლევან ყიფიანმა „ზესტაფონი“ — „დინამოს“ თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩის ტელევიზიით ნახვის შემდეგ ასეთი რამ თქვა: „პროფესიული ფეხბურთის ლიგას მივმართავ, რათა საქართველოს თასს მამაჩემის სახელი მოაცილონ! ამ მოთხოვნის მიზეზი ის არის, რომ თასის გათამაშებაში, რომელიც მამაჩემის სახელს ატარებს, გარიგებული მატჩები ტარდება. არის ლაპარაკი და დიდი ეჭვები, რომ „ზესტაფონი“ — „დინამო“ გარიგებული იყო. ფაქტები არ მაქვს, მაგრამ ტელევიზიით ყველაფერი ნათლად ჩანდა“.

დაგვეთანხმებით, ყიფიანმა ფრიად საყურადღებო განცხადება გააკეთა, რასაც ყურიდან ყურში გატარება არ ეგების და სწორედ ამიტომ გუშინ ამ კლუბების ხელმძღვანელებს დავუკავშირდით...

ბუბა ტყავაძე: ეს აბსურდია!

ილია კოკაია, „ზესტაფონის“ პრეზიდენტი:

— ფეხბურთის ფედერაციის სათავეში მოსვლის იდეით ეგზალტირებული ლევან ყიფიანის ამგვარ უაზრო განცხადებაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, მისი ნათქვამი არანორმალურია...

— თუმცა, ფაქტია ყიფიანს ეჭვი აქვს, რომ „ზესტაფონი“ — „დინამო“ გარიგებული იყო...

— ყიფიანმა თუ ეს თავისი ორგანიზაციის სახელით თქვა, მაშინ ჩვენ მოვითხოვთ საამისო მტკიცებულებებს და თუ გარიგება დადასტურდება, მზად ვარ, ფინალში გასული ჩემი გუნდი ფინალიდან მოვხსნა. ხოლო თუ ეს განცხადება ყიფიანმა მხოლოდ თავისი სახელით გააკეთა, მეტი რომ არ ვთქვა, გულწრფელობასთან მწყრალად ყოფილა.

— ის ითხოვს, რომ თასის გათამაშებას პროფლიგამ დავით ყიფიანის სახელი ჩამოაშოროს...

— ლევან ყიფიანს არ აქვს დავით ყიფიანის სახელით მანიპულირების უფლება. თავის დროზე, როცა საქართველოს თასს დავით ყიფიანის სახელი ეწოდა, ამის თაობაზე მისთვის არავის არაფერი უკითხავს და ახლაც არავინ ჰკითხავს, მოაშორებენ თუ არა თასს დავით ყიფიანის სახელს.

— როგორ ფიქრობთ, რამ მისცა ლევან ყიფიანს მსგავსი განცხადების გაკეთების საფუძველი?

— ეს მას ჰკითხეთ, თავად კი ამ განცხადებას უპასუხისმგებლოს ვუწოდებდი. და მაინც, ერთსაც გეტყვით: მას, ვინც ილია კოკაიას „ზესტაფონი“ — „დინამოს“ მატჩის სიბინძურეში დაარწმუნებს და შესაბამის მტკიცებულებებს მისცემს, მზად ვარ 50 ათასი დოლარი გადავუხადო. დამაჯერეთ, რომ მატჩი გარიგებული იყო და 50 ათასს ვიხდი!

— დარწმუნებული ხართ, რომ მტკიცებულების წარმომდგენი არავინ არის?

— ვიმეორებ, დამარწმუნეთ, რომ „ზესტაფონს“ „დინამოსთან“ სუფთად არ უთამაშია და 50 ათასს ვიხდი!

ბუბა ტყავაძე, „დინამოს“ მმართველი დირექტორი:

— ასეთი განცხადების საფუძველი რამ მისცა ლევან ყიფიანს, სჯობს, ეს თავად თქვას. ჩემთვის უფრო ისაა საინტერესო, თუ რატომ გავრცელდა ასეთი ინფორმაცია. ეს არის აბსურდი, უაზრობა და სრული სისულელე. კარგი იქნება, თუ ლევან ყიფიანი მსგავს განცხადებას ოფიციალურ სახეს მისცემს. მაშინ უკვე საქმეში კლუბიც ჩაერთვება და ამ საქმით ყველა დაინტერესებულ ორგანოსთან თუ პიროვნებასთან მჭიდროდ ვითანამშრომლებთ. „ზესტაფონი“ — „დინამოს“ გარიგება თუ დადასტურდება, მოვითხოვთ, რომ ამის გამკეთებელი უმკაცრესად დაისაჯოს. ხოლო თუ ასე არ იქნება და ყველანაირი ეჭვი და ვერსია გაქარწყალდება, „დინამო“ თავისი ღირსებისთვის ბოლომდე იბრძოლებს და ცილისწამებასთან დაკავშირებით თავის პოზიციას დააფიქსირებს.

— პრესით გაკეთებული ყიფიანის ეს განცხადება საკმარისი არ არის?

— თუ ის ამის თაობაზე ოფიციალურად განაცხადებს და პროფლიგას მიმართავს, უნდა დაიწყოს გამოძიება, ყველაფერი ბოლომდე გამოიკვლიონ და დასასჯელი უმკაცრესად დაისაჯოს.

— ანუ ახლა ყიფიანის ოფიციალურ განცხადებას ელით?

— არა, არაფერს ველი. თუ გაკეთებს ოფიციალურ განცხადებას, ჩვენც მაშინვე ვუპასუხებთ.

— ლევან ყიფიანი ითხოვს, თასის გათამაშებას მამაჩემის სახელი მოაშორეთო...

— შვილს, ცხადია, შეუძლია მსგავსი რამ თქვას, თუმცა არის მეორე მხარეც — დავით ყიფიანის სახელი მთელ ქვეყანას ეკუთვნის და თუ თასისთვის დავით ყიფიანის სახელის მოშორებაზეა ლაპარაკი, ეს საერთო განსჯის საგანი უნდა იყოს. როცა რაიმე მოსაზრება გამოითქმება, რა თქმა უნდა, ამის თაობაზე მსჯელობა შეიძლება.

კოგა ინასარიძე

ინგლისი

I ლიგა. პლეი ოფი
1/2 ფინალი. I მატჩი

საუთენდი 0:0 დონკასტერი

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXXIII ტური

ოგერჰაუზენი 2:0 ბრაუნშვაიგი

სამხრეთ რეგიონალლიგა
XXXI ტური

კარლსრუე (მ) 6:1 ჰესენი

ირლანდია

პრემიერლიგა. X ტური

ბრეი 1:0 დროჰედა
კორკი 1:0 სლიგო
გალვეი 2:2 ფინ ჰარპსი
სენტ პატრიკსი 0:0 დუგლინი
შემროკი 1:1 დერი

ბელგია

იუპილერლიგა
XXXIV ტური

მოლენბეკი 1:2 ზულტე-ვარეგემი

ავსტრია

I დივიზიონი. XXXII ტური

აუსტრია (მ) 0:1 კერნტენი
ლუშტენაუ 2:1 შვადორფი
კაპფენბერგი 3:2 აუსტრია (ლ)
პარნდორფი 1:2 ლეობენი
ზალცბურგი (მ) 1:1 შვანენშტადტი
ბად აუზეე 0:1 გრატკორნი

სლოვაკეთი

I ლიგა. XXIX ტური

სენეცი 1:0 მორავცე

გიპატაკებთ: საპატაკო არაფერია!

ბორჯომში ოთხშაბათს მომხდარ ინციდენტს გუშინ უცნაური გაგრძელება მოჰყვა. გაირკვა, რომ მატჩის დელეგატს ინციდენტის თაობაზე პატაკში არაფერი ჩაუწერია...

არადა, ჩასაწერის მეტი რა იყო?!

თუნდაც ის, ტრიბუნაზე მყოფებს ვინ ჩივის, საპატიო სტუმართა აივანზე მსხდომნი როგორ იქცეოდნენ;

ან ის, შესვენებისას გულშემატკივართა ნაწილი როგორ მოექცა სტუმარი გუნდის ოფიციალურ წარმომადგენელსა და „სარბიელის“ მთავარ რედაქტორს;

კიდევ, როგორ გახდა საპატრულო პოლიციის ესკორტით გასაცილებელი ფეხბურთელთა ავტობუსი და „სარბიელის“ მიკროავტობუსი;

ისიც, მსაჯთა მანქანას როგორ დაუხვრიტეს საბურავები...

მატჩის დირექტორს ეს ყველაფერი უნდა დაენახა! ერთადერთი, ალბათ, იმას ვერ დაინახავდა, ქუჩის მხრიდან როგორ ესროდნენ ქვებს „ამერის“ სათადარიგოთა სკამს.

მაგრამ დანარჩენი ხომ ნაღდად უნდა დაენახა?!

„ბორჯომი“ — „ამერის“ მატჩისას მომხდარი ინციდენტების თაობაზე პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს რომ ვკითხეთ (ინტერვიუ გუშინდელ „სარბიელში“ დაიბეჭდა), გვიპასუხა:

— ცუდი ფაქტი რომ მოხდა, პროფლიგამ მაშინვე შეიტყო და როგორც შეგვეძლო, ამ ამბის მშვიდობიანად მოგვარებისთვის მაქსიმუმი გავაკეთეთ. თუმცა ეს ჩვენი საქმის ნაწილია და ბორჯომულ ინციდენტს პროფლიგის სათანადო რეაქციაც მოჰყვება. ამ წუთისთვის ჩვენ „ბორჯომი“ — „ამერის“ მატჩის დირექტორის, დამკვირვებლისა და არბიტრის პატაკებს ველით, მომხდარს შევისწავლით, მოვისმენთ ფაქტის შემსწრეთა ნათქვამს და გადაწყვეტილებასაც პროფლიგის სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად მივიღებთ.

ბუნებრივია, გუშინ პროფლიგელებს ისევ შევეხმიანეთ და საქმის მსვლელობის შესახებ ვკითხეთ...

„სარბიელის“ კითხვებს პროფლიგის გენერალურმა მდივანმა *პაატა ბურჭულაძემ* უპასუხა...

— ნახევარფინალური შეხვედრები ყოველთვის დაძაბულია და ჩვენ წინასწარ დავიჭირეთ თადარიგი. სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი გოგა ხაჩიძე ჩავაყენეთ საქმის კურსში, რეგიონული პოლიციის უფროსსაც ვესაუბრეთ და მატჩზე არა მარტო ბორჯომის პოლიცია, არამედ მთლიანად ამ რეგიონის 100-ზე მეტი პოლიციელი იყო გამწესებული...

რაც შეეხება ტრიბუნაზე მომხდარ ინციდენტს, ეს მიუღებელია. ბორჯომში მერამდენად ხდება აყალმაყალი და მომავალში ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს.

— ბორჯომის სტადიონს ამის გამო დისკვალიფიკაცია ემუქრება?

— მატჩის დელეგატ ბესარიონ მჭედლიშვილს ინციდენტის შესახებ პატაკში არაფერი ჩაუწერია. როგორც ამბობს, შესვენების დროს იქ არ იყო და არაფერი დაუნახავს.

— როგორ არ დაუნახავს, დელეგატს ხომ ეს ევალება?

— ის ამბობს, შესვენებისას გასახდელში ვიყავიო. შემდეგ კი შეიტყო, რომ ტრიბუნაზე ინციდენტი მოხდა, მაგრამ რაკი თავად არ უნახავს, პატაკშიც ამიტომ არ ჩაუწერია.

— ანუ საქმის განხილვა აღარ იქნება?

— პატაკის გარდა, განხილვის საფუძვლად ვიდეოჩანაწერი შეიძლება გახდეს. მე უკვე ვესაუბრე „კოლხიდას“ წარმომადგენლებს და მითხრეს, რომ კადრები არსებობს. რა თქმა უნდა, ვნახავთ და განხილვაც გვექნება.

ნუკრი ლოლაძე

კარგია, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგა საქმისთვის მსვლელობის მისაცემად ალტერნატიულ გზებს ეძებს. მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს პროფლიგა, „კოლხიდას“ ჩანაწერი რომ არ ჰქონდეს?!

ინციდენტი მოხდა, სამი სარბიელელი მომხდარის თვითმხილველია, არსებობს ფოტომასალა, მატჩს ჰყავდა დირექტორი და მსაჯთა დამკვირვებელი, ჰყავდა მსაჯებიც, რომელთა მანქანასაც საბურავები დაუჭრეს და მაინც — საქმის განხილვა იმაზეა დამოკიდებული, გადაიღო თუ არა ტელეკომპანიის ოპერატორმა საჭირო კადრები...

მატჩის დამკვირვებელი ოთარ გუნთაძე და დელეგატი ბესიკ მჭედლიშვილი

ვალერი კილასონიას ფოტო

ორი წლის წინ „ბორჯომის“ უსაფრთხოების ოფიცერმა მატჩის არბიტრს პანღური ამოჰკრა. ეს ამბავი გუშინდელ „სარბიელში“ გავიხსენეთ. მაშინ ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის შეფს ამირან კაჭახიძეს კომენტარი რომ ვთხოვეთ, აი, ეს გვითხრა:

ამ მატჩს თავად ვესწრებოდი და ინციდენტი ამიტომაც გახმაურდა. ვიცი, რომ სხვაგან და სხვა დროსაც ხდება მსგავსი ფაქტები, მაგრამ იჩქმალება. აუცილებლად მკაცრად მოვთხოვთ პასუხს მსაჯებსაც, დელეგატებსაც და დამკვირვებლებსაც, ვინც პრინციპულ პოზიციას არ დაიკავებს. არ ვიცი, რამდენ ხანს მომიწევს ამ სამსახურში ყოფნა და მომავალში ვინმეს გამოსწორების იმედად ვერ ვიქნები: მე ყველაფერს დღესვე მოვითხოვ!

ბატონი ამირანი ამ სამსახურში დღესაც მუშაობს, ხოლო იმ დღიდან, როცა მსაჯებს, დამკვირვებლებს და დელეგატებს პრინციპულობა მოსთხოვა, 845 დღეა გასული...

ვალერი კილასონიას ფოტო

მატჩის დელეგატის პატაკს თუ ვენდობით, ეს ფოტო მისტიფიკაცია ყოფილა

ვინ არის პასუხისმგებელი ხვალ „ბორჯომი“ – „სიონის“ მატჩზე მივლინებული „სარბიელის“ კორესპონდენტის უსაფრთხოებაზე? ვფიქრობთ, არავინ! ამიტომაც ბორჯომში კორესპონდენტის მივლინებას მიზანშეუწონლად მივიჩნევთ

ფეირ პლეი: საქართველო ევროპაში ბოლოსწინაა

უეფას ფეირ პლეის რეიტინგში საქართველო ბოლოსწინა, 49-ე ადგილზეა და მხოლოდ მაკედონიას უსწრებს. სიაში კიდევ სამი ქვეყანაა (ლიხტენშტაინი, ანდორა, სანმარინო), რომელთა კლუბებს და ნაკრებებს საკმარისი მატჩები არ აქვთ რეიტინგში ქულების მისათვლელად.

ფეირ პლეის რეიტინგი კი, გეცოდინებათ, რის მიხედვითაც დგინდება: ევროთასებსა და სანაკრებო მატჩებში მეტოქე გუნდის ფეხბურთელთა მიმართ პატივისცემა, გულშემატკივართა ქცევა, წითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა...

ჰოდა, მგონი, არავის გაჰკვირვებია საქართველოს ბოლოსწინაობა.

აქვე ვთქვათ, რომ რეიტინგში სამი საუკეთესო ქვეყნის წარმომადგენლები დამატებით ერთ ადგილს ილებდნენ უეფას თასზე, ასეა ყოველწლიურად.

ერთ-ერთი სამთაგანი ცნობილი გახდა: ინგლისი პირველ ადგილზეა ფეირ პლეიში, რაც განსაკუთრებით, ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნს“ გაახარებდა — პრემიერლიგის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა და, სავარაუდოდ, სწორედ „ხიზანას“ გუნდი მიიღებს ფეირ პლეით ბოძებულ საგზურს.

ჩვენ კი, დავფიქრდეთ...

ილია ნანოგაშვილი

კახა კალაძე მეოთხე ადგილს უფრთხილდება

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და იტალიური „მილანის“ მცველი კახა კალაძე „ნაპოლისთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის ემზადება.

„მილანმა“ წინა ტურში თანაქალაქელი „ინტერის“ 2:1 ძლევით დაიბრუნა საჩემპიონთალიგო მეოთხე ადგილი და ახლა მის შენარჩუნებას ცდილობს.

„ძალიან საჭირო სამი ქულა ავიღეთ „ინტერთან“ მატჩში და ახლა ეს განწყობა ჩემპიონატის ბოლომდე უნდა შევინარჩუნოთ. თან დერბი მოვიგეთ და ამას განსაკუთრებული გემო აქვს. კარგია, რომ „ფიორენტინასაც“ დაუცდა ფეხი და ახლა ყველაფერი მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული“ — უთხრა კალაძემ იტალიელ ჟურნალისტებს.

როგორც ვთქვით, მომავალ ტურში „მილანი“ „ნაპოლის“ ხვდება და კალაძემ ამ მატჩზეც ისაუბრა:

„არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვდუნდეთ და „ნაპოლი“ ულაპარაკოდ უნდა დავამარცხოთ. სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია. „მილანი“ იმსახურებს ჩემპიონთა ლიგაში თამაშს“.

იტალიური სააგენტოების ცნობით, ჩვენი ეროვნული გუნდის კაპიტანი „ნაპოლისთან“ მატჩში ძირითად შემადგენლობაში იქნება.

კახა შალამბერიძე

საქართველოს უმაღლესი ლიგა 19 ჩემპიონატი

II წრე. 25 ტური

„დინამოს“ „ლოკომოტივთან“ აღბათ ნედ ზელიჩი დაკარგავს

ფოტო ალექსანდრ ბოჭორიშვილისა

ბორჯომი. 11 მაისი. 17 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი

ბორჯომი — სიონი

მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი; გ. ჩიგოგიძე, ლ. თოდრია; ხ. გაგნიძე

მცხეთა. 11 მაისი. 17 საათი. არმაზი

ვიტ ჯორჯია — მგლები

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. გაბრიაძე, ო. კაკაბაძე; გ. დოგრაშვილი

გორი. 11 მაისი. 17 საათი. ძართლი

სპარტაკი — დილა

მსაჯები: ო. ხეცაძე; მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე; ლ. სილაგავა

თბილისი. 11 მაისი. 17 საათი. ეროვნული

დინამო — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; შ. ქუხილავა, ზ. ბერულავა; ლ. ფანიაშვილი

თბილისი. 11 მაისი. 17 საათი. მერანი

მერანი — ოლიმპი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი; ვ. გუმბერიძე

ბათუმი. 11 მაისი. 17 საათი. ადელი

ბათუმი — ზესტაფონი

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; ზ. ერქვანია, დ. კურტანიძე; კ. ჭაჭუა

თბილისი. 11 მაისი. 17 საათი. ამერი

ამერი — მესხეთი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ფიფია, ო. მოლოდინაშვილი; ზ. ასკაროლი

დაიცავით სისუფთავე!

ბოლოსწინა შემოვლა: ცხრილის ქვედა ნაწილში ძალიან ცხელა

ჩემპიონი „დინამოა“, მეორე-მესამე ადგილები გასანაწილებელია, ქვედა ზონაში კი მაგარი ორომტრიალია — ჯერ მხოლოდ გორის „დილაა“ გავარდნილი და არის შანსი, კვირასვე გაირკვეს „დილას“ „მხარში ამომდგომები“.

მოკლედ, 25-ე ტურიც არანაკლებ საქმეებს წყვეტს და ვნახოთ...

ერთ-ერთი უმოტივაციო თამაში ბორჯომშია, სადაც სათასო ნახევარფინალის შემდეგ ნერვებმოშლილი კურორტელები „სიონს“ მასპინძლობენ.

თავს ვერ დავდებთ, მაგრამ მაინც არ გვგონია, ბორჯომში ისეთი ინციდენტი განმეორდეს, რაც ამასწინათ „ამერთან“ სათასო თამაშისას მოხდა — ისე ჩანდა, წლეულს ვლადიმერ ხაჩიძის გუნდი მხოლოდ „ამერთან“ საბრძოლველად იყო შემართული, რათა როგორმე თასის ფინალში გასულიყო. ჩემპიონატში კი „ბორჯომმა“ შარშანს აქეთ თითო-ოროლა ქულა აიღო და მეოთხე ადგილიდან კარგა გვარიანად ძირს დაეშვა...

ისე, ჯერ ისიც არ ვიცით, რა სასჯელს და როდის გამოუტანს პროფლიგა ბორჯომულ კლუბს — 7 მაისს ხომ ვაიქმაგები და ჰოლიციელები ამერელთა და „სარბიელის“ წარმომადგენლებს ხელითაც კი შეეხნენ.

თბილისის „ლოკომოტივს“ სიმშვიდისთვის ორი ქულა სჭირდება, თუმცა ვეჭვობთ, ეს აუცილებელი პირობა იყოს მათთვის, რაკიღა 4 ქულით აცილებულან საპლეიოფო ზონას. მათი სახვალიო მეტოქე „დინამოა“, რომელმაც ერთი კვირის წინ იზეიმა ჩემპიონობა. საინტერესოა, მიხეილ ხუციშვილი თუ მოახერხებს გოლის გატანას — დინამოელთა 10 ნომერი 14 გოლით ლიდერობს ბომბარდირთა ლიგას და ერთით უსწრებს ამერელ დიმიტრი ტატანაშვილს.

მოგება უნდა „ვიტ ჯორჯიას“, რათა მეორე ადგილი შეინარჩუნოს და უეფას თასის საგზური მოიპოვოს. ნესტორ მუმლაძის გუნდი უმოტივაციო „მგლებს“ დაუხვდება და არა გვგონია, სამი ქულა „ჯაჭვის პერანგად“ ექცეს.

მოკლედ, საუეფასთასო ვიზა მთლიანად მცხეთელებზეა დამოკიდებული — თუ ზუგდიდელებსაც მოერევიან და „მესხეთსაც“, „ზესტაფონი“ მეორე ადგილს ვეღარ შესწვდება.

და რა ელით ფეროელებს? ცხადია, 16 მაისის თასის ფინალისთვის ემზადებიან, კვირას კი, ვეჭვობთ, მძიმე თამაში ექნებათ ბათუმში. ზღვისპირელებს ჯერაც შერჩენიათ უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი, თუმც ძალიან მცირე — „სპარტაკისა“ და „მერანის“ წაგებები უშველით და თუ ეს მცირე შანსი ვერ გამოიყენეს (ან არ გამოაყენებინეს), „ბათუმი“ საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში პირველად დატოვებს უმაღლეს ეშელონს.

„მერანსაც“ ცუდი მდგომარეობა აქვს, ისიც სხვა გუნდზეა დამოკიდებული. თბილისელები „ოლიმპს“ მასპინძლობენ, რომელსაც მეოთხე ადგილზე გასვლის ეიმედება.

ისე, რუსთაველები ბოლო ტურებში მუდმივად იგებენ, გუნდადაც ბევრად სჯობიან „მერანს“ და, იმედია, არაფერს დათმრბენ.

„ოლიმპი“ თუ იგებს, აბა, „ამერს“ შეხედეთ: მეოთხეზე სწორედ გიორგი ჩიხრაძის გუნდია, მიჯრით იგებს თამაშებს და ასე რომ ეთამაშა პირველ წრეშიც, ახლა სამეულშიც იქნებოდა და ვინძლო, ჩემპიონობისთვისაც ებრძოლა.

გლდანელები მეექვსეადგილოსან „მესხეთს“ მასპინძლობენ, რომელმაც აუტსაიდერები არ დაინდო და მოსაგები თამაში რაც ჰქონდა, ყველა მოიგო. როგორც არ უნდა დაამთავრონ ბოლო ორი მატჩი, მესხებისთვის ეს სეზონი წარმატებულად ჩაითვლება — უმაღლესი ლიგის დებიუტანტები არიან.

ცხინვალის „სპარტაკი“ საპლეიოფო საფეხურს ვერ სცილდება და თუ დარჩენილ თამაშებს გავითვალისწინებთ, ალბათ, სწორედ მას მოუწევთ პირველლიგელთან ჯახი. ცხინვალელები „ქართლზე“ გორის „დილას“ დაუხვდებიან და სასწაული უნდა მოხდეს, რომ ვერ მოუგონ.

მოკლედ, ეჭვი გვაქვს, ბოლო ტურის წინ უაღრესად დაიძაბება სატურნირო ცხრილი. ჩვენ კი ერთი რამ გვინდა განსაკუთრებით: სუფთა თამაშები იყოს...

ილია ნანოგაფშვილი

დისკვალიფიცირებულნი:

„ბორჯომი“: ლევან კაკუბავა;

„სპარტაკი“: თორნიკე თარხნიშვილი, ზურაბ ბახტურიძე;

„ლოკომოტივი“: თემურ ფარულავა;

„ვიტ ჯორჯია“: ლუკა რაზმაძე;

„ამერი“: გივი დიდავა;

„ბათუმი“: შოთა ბაბუნაშვილი, არჩილ ბაჯელიძე, ბეგლარ თედორაძე;

„დილა“: ალბერტ საყვარელიძე.

დინამო	24	21	1	2	59:13	64
ვიტ ჯორჯია	24	18	3	3	43:11	57
ზესტაფონი	24	17	4	3	53:15	55
ამერი	24	15	2	7	47:24	47
ოლიმპი	24	14	4	6	24:16	46
მესხეთი	24	10	5	9	27:30	35
ბორჯომი	24	9	4	11	28:30	31
მგლები	24	9	3	12	22:29	30
სიონი	24	7	5	12	24:33	26
ლოკომოტივი	24	6	6	12	18:28	24
სპარტაკი	24	4	8	12	12:27	20
მერანი	24	6	1	17	15:48	19
ბათუმი	24	4	3	17	15:47	15
დილა	24	1	5	18	12:50	8

კანდელაკზე ფრაიბურგი გაამხილეს

მეორე ბუნდესლიგის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა, „კარლ ცაისი“ კი უკვე გავარდნილია. სად წავლენ გიორგი სეთურიძე და გიორგი ონიანი, ვერ გეტყვით, აი, იენელთა მესამე ქართველ ილია კანდელაკს კი მსურველი კლუბი გამოუჩნდა — „ფრაიბურგი“.

გარიგების შანსი დიდია, რადგან კანდელაკს და „კარლ ცაისის“ სხვა ქართველებსაც ისეთი კონტრაქტები აქვთ, რომ რეგიონლიგაში გავარდნის შემთხვევაში გუნდს ტოვებენ. რაც შეეხება „ფრაიბურგს“, მეხუთე ადგილზეა და ბუნდესლიგაში გადასვლის მცირე შანსი აქვს.

და თუ კანდელაკი „ფრაიში“ გადავა, იქ ოთარ ხიზანეიშვილი ვერ დახვდება, რაკიღა იგი უეჭველად შეიცვლის კლუბს. თუმც ზაფხულში „ფრაიბურგის“ ძირითად გუნდში გადასვლის პერსპექტივა ახალგაზრდა დავით თარგამაძეს აქვს.

ილია ნანოგაფშვილი

იაშვილი ორეულში

გერმანიის ბუნდესლიგის 32-ე ტურში „კარლსრუე“ — „კოტბუსის“ (1:1) მატჩის შემდეგ, „კარლსრუეს“ გულშემატკივრებმა ალექსანდრე იაშვილი ორ საუკეთესო ფეხბურთელს შორის დაასახელეს.

კლუბის ვებგვერდზე ჩატარებული გამოკითხვით, ამ მატჩში „კარლსრუეს“ გამორჩეულ მოთამაშედ ნახევარმცველი შტეფან ბუკი აღიარეს (ხმების 34 პროცენტი).

იაშვილს მხარი 20-მა პროცენტმა დაუჭირა.

სულ გამოკითხვაში 4 354 ქომაგი მონაწილეობდა.

კახა ზალამბერიძე

სათასო ლატვია

ლატვიაში მოთამაშე ოთხმა ქართველმა ფეხბურთელმა თასის ნახევარფინალში გააღწია.

ოთხიდან სამი — დავით გამეზარდაშვილი, ზაალ ელიავა, ვლადიმერ დვალიშვილი — „სკონტოში“ თამაშობს, რომელმაც მეოთხედფინალში „რიგა“ 2:0 დაამარცხა და ჩემპიონატში წაგებისთვის შური იძია.

ელიავა სკონტოელებს კარგა ხანია, „შერისხული“ ჰყავთ და სარეზერვო გუნდს არ აშორებენ. გამეზარდაშვილმა და დვალიშვილმა კი სასტარტოში ითამაშეს. ლადო 85-ე წუთზე შეცვალეს, თუმცა იქამდე გოლის გატანაც მოასწრო.

გამეზარდაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე, განსაკუთრებით ბოლო წუთებში, როდესაც „რიგამ“ დაწოლა გააძლიერაო — წერენ ლატვიელები.

ქართველ მცველს თავი განსაკუთრებით მაღალი ბურთებისთვის ბრძოლაში გამოუჩენია.

ოპტიმალურ ფორმაში არ არის ზურაბ მენთეშაშვილი, თუმც სათამაშო დროს ნელ-ნელა ზრდის — „მეტალურგსთან“ მატჩში მწვრთნელმა ნახევარი საათი ათამაშა, მისმა „ვენტსპილსმა“ კი 3:1 მოიგო.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ტოტალიზატორი

1X2 პმფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი	წყვილი	შედეგი	კოეფ-ტი	სისტ

—აი, ძმაო, ჩემი თუ არა გჯერა, ინგლისის რუკას დაუჯერე, შანსი არაა, უეჭველი დაუწვება.

—შენ იგროკი ხარ თუ ქრისტეფორე კოლუმბის გემიდან გადმოგაგდეს, რუკით რო მელაპარაკები?

—მე, ჯიგარო, კოლუმბი არ გამიგია, მარა გეოგრაფიულზე ვსწავლობდი და პირველი კურსის ბოლო წუთზე გამაგდეს დროის გაყვანისთვის.

—რუკა რად გინდა?

— ფეხბურთი მარტო სპორტი და ბიზნესი აღარაა, ჯიგარო, ფეხბურთი გეოგრაფიაა. „მანჩესტერს“ რო ხვალ უიგანში გასვლა აქვს ხო იცი? ჰოდა, ცვეტში მოგება რო უნდა, ეგაც ხო იცი? ნახე, ჩემი, რა გენოსი ვარ, რა ვიპოვე.

აზრზე ხარ, რა ხდება? მანჩესტერიდან უიგანამდე 35 კილომეტრია. კუშიც „მანჩესტერს“ მოგებაზე 1,35 უწერია. ჯიგრულად ჩახუტებული ქალაქებია.

არ გააბაზრო თორე დაიგრუზება. „უიგანი“ უეჭველი დაუწვება. 1000 დოლარი დღესვე უნდა ვისესხო და შევაგდო და თუ ვერ ვიშოვე, ხვალ დედაჩემს ლარიანს მაინც გამოვართმევ ისე, რომ მამაჩემმა ვერ გაიგოს. რაც მე გამაზვა დავიწყე, მამაჩემი შავ პალასაზე დაჯდა და ყომარს მიშლის. „მანჩესტერის“ ორიანს დავწერ, სანამ კუშს დაუწვევენ.

— შენ ბურთი გლობუსში ხო არ გერევა? მაგ რუკას კარაქი წაუსვი და ვინც პირველი კურსის ბოლო წუთამდე გაგაჩერა, იმას აჭამე, გაიგე? ვააფშე ფუტბოლის აზრზე არა ხარ. რო გაგიშლია რუკა ნაპოლეონივით, აბა კარგა დააკვირდი, უიგანი ლივერპულიდან შორსაა?

—ვა! ეგაც ახლო ყოფილა, მარა მე, ჯიგარო, „მანჩესტერის“ ორიანს ვაწვები და ლივერპული სუ არ მეაძინიქსება.

—შენ ვერა ხედავ, რო კუშებისგან სუ გამოტაიმბოლდი? არ მიქარო და „მანჩესტერის“ ორიანი არ დაწერო. ჩემი ძმაკაცი ლივერპულში ცხოვრობს. გუშინ დამირეკა და მითხრა, რო ლივერპულთან, პორტში კვირაზე მეტია, რომან აბრამოვიჩის იახტა აბირჟავებს. იახტიდან ბიჭები მეშოკებით ფულს უიგანში ეზიდებიან.

რომანა ძია თურმე მილიარდ დოლარს — წვრილი კუპიურებით — იხდის „უიგანის“ მოგებაში, შენ კიდე მეუბნები დედაჩემს ლარიანი უნდა გამოვართვაო. აბა, რა გეგონა, აბრამოვიჩი ჩუკოტკაში იურტაში ზის და ირმის ტყავს ამარილებს?

—ჯიგარო, მიდი ერთი სარკეში ჩაიხედე, იქსდვას რო დაემსგავსე, რა იახტა, რის ირემი! ორ შენ ძმაკაცს დაურეკე და ჰკითხე, რქები ხო არ ამოგსვლია? გეუბნები უეჭველი ორიანიამეთქი და თუ გინდა ქვითრის წილში შემოდი, თორე ვიცი, ორშბათს გნახავ, როგორც ბევრჯერ მინახიხარ, დახეული ბილეთებით ცრემლს რო იმშრალებ და პირიდან ცრემლისგან დამლაშებული გინება რო ამოგდის.

—არ მინდა, სუ არ ჩავწერ „მანჩესტერს“ ქვითარში, მარა მამაშენი ცემას რო დაგიწყებს, მე არ დამირეკო, გაიგე?

კუში კოტმარია

ჩემი ბილეთი: კოეფ.
001 ლუის ჰემილტონს ბოქსებში ჩაეძინება 10, 75
სავარაუდო მოგება: ბოლიდის საჭე
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ თუ რატომ
გადააკეთა ჯონ ტერიმ „კონკორდიას“ ორიანი იქსდვად. **114140 ***

კრაუჩის სასიკეთოდ

„ლივერპულის“ თავკაცმა რაფა ბენიტესმა მისი გუნდისა და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელს, პიტერ კრაუჩს ფასი დაადო — 15 მილიონი გირვანქა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტანმაღალ მეგოლეს ამ ზაფხულს შეუძლია, მერსისაიდიდან წავიდეს.

პიტერ კრაუჩი „ლივერპულში“ 2005 წელს „საუთჰემპტონიდან“ გადავიდა. ბოლო ხანს ინგლისელ ფორვარდს ბენიტესის თეთრმეტეულში მოხვედრა ძალიან უჭირდა.

„კრაუჩი კარგი ფეხბურთელი და ნამდვილი პროფესიონალია. გასაკვირი არ არის, რომ მას ყოველ ტურში მოედანზე სურს ყოფნა. ჩვენთვის ცნობილია, რომ მისი შეძენა „პორტსმუთსა“ და კიდევ რამდენიმე კლუბს სურს. ამის შესახებ ამ კლუბებმა გაზეთებში არაერთხელ დაწერეს, მაგრამ „ლივერპულის“ ოფისში რომელიმე მათგანიდან ოფიციალური წინადადება ჯერ არ მოსულა. თუკი კრაუჩს მყიდველი გამოუჩნდება, შემოთავაზებას აუცილებლად განვიხილავთ, რადგან ამ ფეხბურთელს მხოლოდ სიკეთეს ვუსურვებ და ვფიქრობ, რომ 15 მილიონი გირვანქა მისი შესაფერისი ფასია“.

პიტერ კრაუჩმა, რომელსაც ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში 26 თამაშში 14 გოლი აქვს გატანილი, მიმდინარე სეზონში პრემიერლიგის სულ 9 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

ბენიტესმა ისიც თქვა, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ ავსტრალიელ ჰარი კიუელს გაუშვებს.

პაპუნა ძედია

დანია

სუპერლიგა. XXIX ტური

ოლბორგი — ორჰუსი 3:1; ლიუნგბიუ — ჰორსენსი 4:1; ნორდსიელანდი — კოპენჰაგენი 1:2

ოლბორგი	29	19	5	5	54:34	62
მიდტიულანდი	29	15	8	6	42:30	53
კოპენჰაგენი	29	14	9	6	40:26	51
ოდენსე	29	12	14	3	42:19	50
ჰორსენსი	29	12	8	9	40:39	44
ნორდსიელანდი	29	11	8	10	45:45	41
ესბიერგი	29	11	6	12	53:47	39
ბრონდბიუ	29	10	9	10	40:38	39
რანდერსი	29	10	7	12	36:31	37
ორჰუსი	29	6	7	16	28:45	25
ლიუნგბიუ	29	3	8	18	30:61	17
ვიბორგი	29	4	5	20	25:60	17

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. III ტური

ჰონკა — როვანიემი 0:0; მარიეჰამნი — კტპ 4:2; ინტერი — ჰაკა 1:0; კუოპიო — ლაჰტი 2:3; მიუპა — იარო 3:0; ვაასა — ჰიკ 0:0; ტამპერე — ტურკუ 1:1

ინტერი	3	3	0	0	8:1	9
ლაჰტი	3	3	0	0	5:2	9
ჰიკ	3	2	1	0	8:1	7
მარიეჰამნი	3	2	0	1	6:4	6
ჰაკა	3	1	1	1	3:1	4
ჰონკა	3	1	1	1	2:1	4
ტურკუ	3	1	1	1	4:5	4
როვანიემი	3	1	1	1	3:4	4
იარო	3	1	1	1	1:3	4
მიუპა	3	1	0	2	3:4	3
ტამპერე	3	0	2	1	2:3	2
ვაასა	3	0	2	1	0:1	2
კუოპიო	3	0	0	3	2:9	0
კტპ	3	0	0	3	3:11	0

შვედეთი

ალსვენსკა X ტური

გეფლე — სუნდსვალი 2:0; ჰალმსტადი — ლიუნგსკილე 3:2; მალმიო — გაის 1:1; ნორჩიოპინგი — აიკ 1:2

კალმარი	10	7	1	2	18:7	22
გიოტებორგი	10	5	4	1	17:7	19
ელფსბორგი	10	5	4	1	11:3	19
აიკ	10	5	3	2	8:8	18
მალმიო	10	4	5	1	16:11	17
იურგორდენი	10	4	5	1	11:9	17
ჰელსინგბორგი	10	4	3	3	18:14	15
ჰალმსტადი	10	4	3	3	13:11	15
ჰამარბი	10	4	3	3	11:9	15
გაის	10	2	6	2	7:9	12
ლიუნგსკილე	10	3	1	6	9:17	10
ტრელებორგი	10	2	3	5	8:11	9
იორებრო	10	2	3	5	4:11	9
გეფლე	10	2	2	6	7:11	8
სუნდსვალი	10	1	2	7	9:18	5
ნორჩიოპინგი	10	0	4	6	7:18	4

მექსიკა

კლაუსურა. პლეი ოფი 1/2 ფინალი. I მატჩი

ატლასი 1:1 ნეკაძსა

აშშ

მეიჯორ ლიგა VII ტური

ვაშინგტონი 0:2 ჩიკაგო

ლიბერტადორესის თასი 2008

მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

რივერ პლეიტი (არგენტინა) 2:2 სან ლორენსო (არგენტინა) (1:2)
1:0 აბელაირასი (11), 2:0 აბრეუ (61), 2:1, 2:2 ბერგესიო (69, 72)

კუჯუტა დეპორტივო (კოლუმბია) 0:2 სანტოსი (ბრაზილია) (0:2)
0:1 ბ. პერეირა (41), 0:2 რ. ლიმა (53)

კაკა მესის სიამოვნებით უყურებს

„მილანის“ ბრაზილიელმა ლიდერმა კაკამ განაცხადა, თუ რონალდინიოს არ ვყიდულობთ, „ბარსელონას“ მეორე ვარსკვლავი ლიონელ მესი შევიძინოთო. მოგეხსენებათ, ახლად მომჯობინებული არგენტინელი ჩინებულ ფორმაშია, მაგრამ კატალონიელები მის გაშვებას არ აპირებენ.

სხვათა შორის, აქამდე უკვე საუბრობდნენ „სან სიროზე“ მესის შესაძლო გადაბარგებაზე, მაგრამ აქამდე მას მხოლოდ „მილანის“ თანაქალაქელ „ინტერს“ უკავშირებდნენ.

„ადრიანო გალიანიმ სატრანსფერო საქმეები რომ გადმომაბაროს, მესის ვიყიდი. ლეო ის ფეხბურთელია, ვისი თამაშის ყურებაც სიამოვნებას მანიჭებს. მას თამაშის ბედის გადაწყვეტა ურთულეს ვითარებაშიც შეუძლია. ერთი ფეხბურთელის ყიდვის უფლება რომ მქონდეს, ეს მესი იქნებოდა. შეგვიძლია თუ არა ერთად თამაში? რასაკვირველია. შემიძლია მესისაც შევეწყო, რონალდინიოსაც, ალეშანდრე პატოსაც და პიპო ინძაგისაც. ეს ელემენტარული შეთამაშების ამბავია.

წესიერებითა და რელიგიურობით ცნობილ კაკას, მის თანაკლუბელ და თანამემამულე რონალდოზეც ჰკითხეს, რომელიც ტრანსვესტიტებთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვა.

„ვეცადე, მისთვის დამერეკა, მაგრამ რონი ახლა არცთუ კარგ გუნებაზეა, მას რთული პერიოდი აქვს. მას პატივს ვცემ და მინდა, მხარში ამოუდგე ნებისმიერ სიტუაციაში. რონალდო შესანიშნავი ადამიანია, ეს ყველამ იცის, ვინც იცნობს. უშეცდომო არავინაა, მე რონალდოს განსჯას არ ვაპირებ, თავის საქციელზე ისედაც ის არის სრულად პასუხისმგებელი“ — დასძინა კაკამ.

ამავდროულად, „როსონერის“ ასევე ბრაზილიელი ვარსკვლავი პატო ოლიმპიადაზე ოცნებას ვერ ელევა. თუმცა ითამაშებს თუ არა „იხვი“ პეკინში, ძნელი სათქმელია, მით უმეტეს, რომ ჩინეთის ოლიმპიადა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს ემთხვევა.

„სამწუხარო იქნება ჩემპიონთა ლიგის მატჩების გამოტოვება, რადგან ორივე ფრონტზე სიამოვნებით ვიბრძოლებდი. ჯერ არ ვიცი, მიმიწვევენ თუ არა ოლიმპიადაზე სათამაშოდ, მაგრამ ამის იმედი მაქვს. ჩინეთში წასვლა მინდა. ოლიმპიადის ოქროს მედალი ბრაზილიას არასოდეს მოუგია და თუ ამას შევძლებთ, ისტორიული მიღწევა იქნება“ — აღნიშნა პატომ.

კოკი კანდელაკი

ჯერ-არ-დი

მილანის „ინტერი“ „ლივერპულს“ სტივენ ჯერარდის სანაცვლოდ 25 მილიონ გირვანქას აძლევდა, მაგრამ მერსისაიდელებმა იტალიელი მყიდველი უარით გაისტუმრეს. ცნობჭისთვის: 25 მილიონი გირვანქა 48,75 მილიონი ამერიკული დოლარი ან 31,70 მილიონი ევროა.

ამბავი „ინტერის“ ერთ-ერთმა მალალჩინოსანმა დაადასტურა:

„მომავალი სეზონისთვის დიდი სიახლე გაჭირდება და სწორედ ჯერარდი გახლდათ ჩვენი ფიქრების ცენტრში, მაგრამ „ლივერპულმა“ მეტისმეტი კატეგორიულობით განგვიცხადა, რომ ის არ იყიდება. რასაკვირველია, ალტერნატივათა მთელი სია მოგვეპოვება, მაგრამ თუკი ლივერპულში დამოკიდებულებას შეიცვლიან და თავიანთი კაპიტნის გაყიდვას მაინც გადაწყვეტენ, მზად ვართ, მოლაპარაკებების მაგიდას მივუსხდეთ“.

რამდენადაც ცნობილია, ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ, „ინტერი“ ჯერარდის შეძენას რომ ცდილობს. მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგაში „ინტერი“ და „ლივერპული“ მეტოქეები იყვნენ და მილანელებმაც სწორედ მაშინ მიმართეს პირველად 27 წლის ინგლისელს. ეს თებერვალში მოხდა.

და კიდევ ერთი იტალიურ-ლივერპულური ამბავი: „იუვენტუსს“ მერსისაიდელთაგან ხაბი ალონსოს ყიდვა სურს და ამ ფეხბურთელში 15 მილიონ გირვანქას იხდის, თუმცა ტურინელებს დიდი კონკურენტიც ეყოლებათ — „ბარსელონა“. საქმე ის გახლავთ, რომ „ბარსას“ სათავეში მომავალი სეზონიდან ალონსოს დიდი ფანი, ხოსეპ გვარდიოლა მიდის.

პაპუნა ძედია

გაქცევა

ალექსანდრ გლები

ხუთშაბათ საღამოს არსენ ვენგერი გაოცებული შეჰყურებდა „არსენალის“ ზეცას, რამეთუ ალექსანდრ გლებმა განუცხადა, რომ გუნდიდან მიდის.

როგორ არის, იცით? 27 წლის ბელარუსი „მეთოფეებთან“ დარჩენილ ორ წელიწადს 3 მილიონ გირვანქად ყიდულობს და ზაფხულში ინტერელი გახდება. ასე და ამგვარად, ის კვალში ჩაუდგა მატიე ფლამინის, რომელიც თავისუფალი აგენტი გახდა და „არსენალს“ ახალი კონტრაქტი აღარ გაუფორმა, „მილანში“ მინდაო.

„სარბიელის“ მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ვენგერის რაზმიდან, შესაძლოა, ესპანელი ფეხბურთელი, სესკ ფაბრეგასიც წავიდეს. ყოველ შემთხვევაში, ფაბრეგასის შეძენით მეტად მოწადინებული გახლავთ მადრიდის „რეალი“, რომელიც მიზნის მისაღწევად ღონეს არ იშურებს.

მაგრამ დავუბრენდეთ ბელარუს გლებს, რომლის აგენტმა, ნიკოლაი შიპილევსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ალექსანდრი ხუთშაბათ საღამოს ვენგერს პირადად შეხვდა და პირისპირ ელაპარაკა.

„ჩემი კლიენტი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადასადგმელად ემზადება — თქვა შიპილევსკიმ — ის ლონდონიდან იმ შემთხვევაშიც კი წავა, თუ „არსენალი“ ახალ, მრავალწლიან კონტრაქტს შესთავაზებს. სწორ ნაბიჯს დგამს თუ ცდება, ამას ცხოვრება გვიჩვენებს, ამჯერად კი ასეა და ორ კვირაში ყველაფერს საბოლოო სახე მიეცემა“.

პაპუნა ძედია

XXXVIII ტური

ხვალ

ბირმინგემი	:	ბლექბერნი
ჩელსი	:	ბოლტონი
დერბი	:	რედინგი
ევერტონი	:	მიდლსბრო
სიტი	:	ნიუკასლი
პორტსმუთი	:	ფულემი
სანდერლენდი	:	არსენალი
ტოტენჰემი	:	ლივერპული
ვესტ ჰემი	:	ასტონ ვილა
უიგანი	:	მანჩესტერი

„მანჩესტერს“ ჩემპიონობამდე მოგებალა უკლია და ალბათ დაამარცხებს კიდეც „უიგანს“, რომელთანაც პრემიერლიგაში სულ ექვსჯერ უთამაშია და ექვსჯერვე უქულოდ დაუტოვებია.

რა თქმა უნდა, დიდი ამბავია ატეხილი ამ მატჩის გარშემო, რადგან „უიგანს“ „მანჩესტერის“ ყოფილი (1987-96) ფეხბურთელი სტივ ბრიუსი თავკაცობს. რასაკვირველია, ინგლისშიც არიან ისეთები, რომლებიც იტყვიან, რომ მასპინძლები მოსაგებად თავს არ მოიკლავენ, მაგრამ ჭორებით გაბეზრებულმა და გაბრაზებულმა კლუბის პატრონმა დეივ ველანმა მსგავ მოსაზრებებს სისულელე უწოდა.

ინგლისი

2 მილიონ 100 ათასი

სტივ ბრიუსმა ისიც უთხრა ჟურნალისტებს, გუნდი მეთორმეტე ადგილზე გასვლისთვის 2 მილიონ 100 ათასი გირვანქით მეტს მიიღებს, ვიდრე მეთხუთმეტე საფეხურისთვის და მხოლოდ ამისთვის ღირს მოგებაო.

რაც უნდა თქვან, „მანჩესტერი“ „უიგანზე“ აშკარად ძლიერია და თუ მოიგებს, სასწაული არ იქნება. აქვე ვთქვათ, რომ უიგანელები ბოლო ხუთ ტურში არ დამარცხებულან.

მასპინძლებს მარიო მელხიოტი, კევინ კილბეინი და ერიკ ედმანი დააკლდებათ, ხოლო სტუმრებს დისკვალიფიცირებული ნანი ვერ დაეხმარება. ნემანია ვიდიჩი გამოკეთდა, უეინ რუნის თამაში კი საეჭვოა.

„ჩელსი“ იმ იმედით დაუხვდება „ბოლტონს“, რომ „უიგანი“ ქულას მაინც წაჰგლეჯს „მანჩესტერს“, თვითონ კი დაამარცხებს მეტოქეს და ჩემპიონის გვირგვინს დაიდგამს.

მოკლედ, პრემიერლიგის ისტორიაში ჩემპიონი ბოლო ტურში პირველად გაირკვევა.

გაირკვევა ისიც, თუ ვინ დაიწყებს „დერბის“ გარდა მომავალ სეზონს ქვედა დივიზიონში. გავარდნის მთავარი კანდიდატია ალექს მაკლიშის „ბირმინგემი“, რომელიც „ბლექბერნს“ უმასპინძლებს.

მაკლიშის გუნდმა აუცილებლად უნდა მოიგოს და ამასთან, „ფულემმა“ და „რედინგმა“ ქულაზე მეტი ვერ უნდა აიღონ. მხოლოდ ამ შემთხვევაში დარჩება „ბირმინგემი“ პრემიერლიგაში.

დამხვდურებს, შესაძლოა, ჯეიმს მაკფადენი და ლაიამ რიჯუელი დააკლდნენ, „ბლექბერნს“ კი ტრავმამოშუშებული ბენი მაკარტი დაუბრუნდება.

„რედინგს“ დერბიში მოგება არ ეყოფა ელიტაში დასარჩენად, თუ პორტსმუთში „ფულემიც“ სამ ქულას აიღებს. ფულემელები კი სხვათა შედეგებზე დამოკიდებულნი არ არიან და „პორტსმუთთან“ თუ მოიგებენ, პრემიერლიგაში ადგილს დაიბევებენ, ოღონდ ეგაა, ამ საპორტო ქალაქიდან 2000 წლის მერე სამი ქულით ხელდამშვენებულნი აღარ წასულან.

მოკლედ, ვითარება ჩახლართულია და ხვალინდელი ტური ყველას თავის ადგილ მიუჩენს.

სამ წელზე მეტია, „ტოტენჰემს“ შინ „ლივერპული“ არ დაუმარცხებია და ეგებ ხვალ მოახერხოს ნავსის გატეხვა და სეზონის გემრიელად დასრულება.

ლონდონელებს მეკარე პოლ რობინსონი, გარეთ ბეილი და ლედლი კინგი ჰყავთ ტრავმირებული, დიმიტარ ბერბატოვი კი გამოკეთდა.

რაფელ ბენიტესმა, შესაძლოა, ახალგაზრდები ათამაშოს. ესპანელმა საამმატჩოდ დამიენ პლესისს და ემილიანო ინსუას უხმო. ძირითად შემადგენლობაში იქნებიან პიტერ კრაუჩი, იონ არნე რიისე და ჯერმეინ პენანტი.

ვაჟა ხუციშვილი

№		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1	მანჩესტერი		2:0	2:1	3:0	2:1	4:0	2:0	2:0	1:2	4:1	1:0	6:0	4:0	4:1	1:0	2:0	2:0	0:0	1:0	4:1	37	26	6	5	78:22	84	17	1	1	47:7	52	9	5	4	31:15	32
2	ჩელსი	2:1		2:1	0:0	1:1	4:4	0:0	1:0	3:0	1:0	2:0	2:1	1:1	1:0	2:0		0:0	1:0	3:2	6:1	37	25	9	3	64:25	84	12	6	0	35:12	42	13	3	3	29:13	42
3	არსენალი	2:2	1:0		1:1	1:0	1:1	2:0	3:1	1:0	2:0	2:1	3:0	2:0	1:1	3:2	2:0	2:1	2:0	1:1	5:0	37	23	11	3	73:31	80	14	5	0	37:11	47	9	6	3	36:20	33
4	ლივერპული	0:1	1:1	1:1		1:0	2:2	3:1	4:1	1:0	4:0	2:2	3:0	1:1	3:2	3:0	4:0	2:0	2:1	0:0	6:0	37	20	13	4	65:28	73	12	6	1	43:13	42	8	7	3	22:15	31
5	ევერტონი	0:1	0:1	1:4	1:2		2:2	1:1	3:1	1:0	1:1	0:0		2:1	2:0	7:1	2:0	3:0	1:0	3:1	1:0	37	18	8	11	52:32	62	10	4	4	31:16	34	8	4	7	21:16	28
6	ასტონ ვილა	1:4	2:0	1:2	1:2	2:0		1:1	1:3	1:1	1:0	2:1	4:1	0:2	1:1	0:1	4:0	2:1	3:1	5:1	2:0	37	16	11	10	69:49	59	10	3	6	34:22	33	6	8	4	35:27	26
7	ბლექბერნი	1:1	0:1	1:1	0:0	0:0	0:4		0:1	1:0	0:1	1:1	3:1	3:1	1:1	1:0	4:1	1:1	4:2	2:1	3:1	37	15	13	9	49:44	58	8	7	4	26:19	31	7	6	5	23:25	27
8	პორტსმუთი	1:1	1:1	0:0	0:0	0:0	2:0	0:1		0:0	0:0	0:1	0:0	2:0	0:1	1:0	3:1		7:4	4:2	3:1	37	16	9	12	48:39	57	7	8	3	24:13	29	9	1	9	24:26	28
9	სიტი	1:0	0:2	1:3	0:0	0:2	1:0	2:2	3:1		1:1	2:1	3:1	0:0	3:1	1:0	4:2	2:3	2:1	1:0	1:0	37	15	10	12	44:45	55	11	4	4	28:20	37	4	6	8	16:25	18
10	ვესტ ჰემი	2:1	0:4	0:1	1:0	0:2		2:1	0:1	0:2		1:1	2:2	1:1	3:0	3:1	1:1	2:1	1:1	1:1	2:1	37	13	9	15	40:48	48	7	6	5	22:22	27	6	3	10	18:26	21
11	ტოტენჰემი	1:1	4:4	1:3		1:3	4:4	1:2	2:0	2:1	4:0		1:4	4:0	1:1	2:0	1:1	5:1	6:4	2:3	4:0	37	11	13	13	66:59	46	8	5	5	46:32	29	3	8	8	20:27	17
12	ნიუკასლი	1:5	0:2	1:1	0:3	3:2	0:0	0:1	1:4	0:2	3:1	3:1		1:0	1:1	2:0	0:0	2:0	3:0	2:1	2:2	37	11	10	16	44:62	43	8	5	6	25:26	29	3	5	10	19:36	14
13	უიგანი		0:2	0:0	0:1	1:2	1:2	5:3	0:2	1:1	1:0	1:1	1:0		1:0	3:0	1:0	1:1	0:0	2:0	2:0	37	10	10	17	34:49	40	8	5	5	21:15	29	2	5	12	13:34	11
14	მიდლსბრო	2:2	0:2	2:1	1:1	0:2	0:3	1:2	2:0		1:2	1:1	2:2	1:0		2:2	0:1	1:0	0:1	2:0	1:0	37	9	12	16	35:52	39	6	5	7	19:22	23	3	7	9	16:30	16
15	სანდერლენდი	0:4	0:1		0:2	0:1	1:1	1:2	2:0	1:2	2:1	1:0	1:1	2:0	3:2		3:1	1:1	2:1	2:0	1:0	37	11	6	20	36:58	39	9	3	6	23:20	30	2	3	14	13:38	9
16	ბოლტონი	1:0	0:1	2:3	1:3	1:2	1:1	1:2	0:1	0:0	1:0	1:1	1:3	4:1	0:0	2:0		0:0	3:0	3:0	1:0	37	9	9	19	35:53	36	7	5	7	23:18	26	2	4	12	12:35	10
17	ფულემი	0:3	1:2	0:3	0:2	1:0	2:1	2:2	0:2	3:3	0:1	3:3	0:1	1:1	1:2	1:3	2:1		3:1	2:0	0:0	37	7	12	18	37:60	33	5	5	9	22:31	20	2	7	9	15:29	13
18	რედინგი	0:2	1:2	1:3	3:1	1:0	1:2	0:0	0:2	2:0	0:3	0:1	2:1	2:1	1:1	2:1	0:2	0:2		2:1	1:0	37	9	6	22	37:66	33	8	2	9	19:25	26	1	4	13	18:41	7
19	ბირმინგემი	0:1	0:1	2:2	2:2	1:1	1:2		0:2	3:1	0:1	4:1	1:1	3:2	3:0	2:2	1:0	1:1	1:1		1:1	37	7	11	19	42:61	32	5	8	5	26:22	23	2	3	14	16:39	9
20	დერბი	0:1	0:2	2:6	1:2	0:2	0:6	1:2	2:2	1:1	0:5	0:3	1:0	0:1	0:1	0:0	1:1	2:2		1:2		37	1	8	28	20:85	11	1	5	12	12:39	8	0	3	16	8:46	3

კაიზერ ტონი?

ლუკა ტონი, რომელმაც დაბალი ლიგებიდან ნელ-ნელა გაიკვალა გზა მწვერვალისკენ, დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრფორვარდია, თუ საუკეთესო არა. ჯეიმს ჰორნკასლი საკუთარ ჩანახატში აღფრთოვანებას ვერ მალავს ამ ფიზიკურად საოცრად ძლიერ და კეთილი მოჩვენებასავით მომღიმარი ფეხბურთელის თამაშზე

ეშმაკის მთავარი სიცბიერე იმაშია, რომ მან ყველა დაარწმუნა თავის არარსებობაში, ამბობს კევინ სპეისის გმირი კაიზერ სუზე 1995 წლის ცნობილ ფილმში — „ჩვეულებრივი ეჭვმიტანილები". ლუკა ტონიმ ზუსტად ასე გააკეთა. პროფესიული კარიერის 14 წლიდან 7 მას სერია B-სა და C1-ში აქვს გატარებული, „ფიორენცუოლასა" და „ლოდიჯანის" დარ კლუბებში.

მისმა ძველმა მენტორმა ალბერტო კავაზინმა აყალაყუდა, ფიზიკურად ძლიერ ფორვარდზე თქვა: „ახალგაზრდულ დონეზე ფიზიკური მონაცემები ტონის დაეხმარა, დიდ ფეხბურთში კი პირიქით". ლუკას სკოლაში „ტორტელინოს" („ტორტელი" იტალიური პელმენის ერთ-ერთი სახეობაა) ეძახდნენ. მისი დიდი, მომრგვალო ფიგურა, საჭმლით სავსე ბურთის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მართალია, მან სერია A-ში თავისი პირველი გოლი 2000 წელს გაიტანა, როცა 23 წლის გახლდათ, მაგრამ რეალურად მაშინ გავიცანით, როცა 2003 წელს ეს მძიმეწონოსანი გოლეადორი „პალერმოში" გადავიდა.

გასულ კვირას, 30 წლის თავდამსხმელი პირველად გახდა გერმანიის ჩემპიონი. ეს უკვე მისი მესამე ტიტულია წინა ზაფხულს „ფიორენტინადან" „ბაიერნში" გადასვლის მერე. მიმდინარე სეზონში მას უკვე 39 გოლი აქვს გატანილი, საკლუბო და სანაკრებო დონის ჩათვლით, ანუ ბოლო 5 სეზონში სულ 148.

„ვიჩენცასა" და „ბრეშას" ყოფილი ფეხბურთელი, ბევრის აზრით, ბოლო პერიოდში პლანეტის საუკეთესო ცენტფორვარდია. „ბაიერნის" ფანები მას ლეგენდარულ გერმანელ გერდ მიულერს ადარებენ. ტონი მეტოქის საჯარიმო მოედანში მოჩვენებასავით მოძრაობს, ასევე შეუმჩნევლად ურტყამს, ხოლო გოლებს ისეთი ღიმილით აღნიშნავს, რომელიც ძალიან ჰგავს ცნობილი ანიმაციური პერსონაჟის, კეთილი მოჩვენების კასპერის ღიმილს, თან ყურთან ხელი მიაქვს, რომელსაც ატრიალებს, თითქოს კითხულობდეს — გაიგონეთ რამე?

ტონის ყურება, თუ როგორ იზრდებოდა იგი წლიდან წლამდე, ერთ სიამოვნებად ღირდა. მით უმეტეს, რომ ჩვენ ახლა ვცხოვრობთ ისეთ სამყაროში, რომელიც მომენტალურად ჩამოყალიბებულ ტალანტებს ეძებს და იღებს, ეტაპობრივად განვითარებად ნიჭს კი ალმაცერად უყურებს. თუ იტალიური საწვრთნელი სისტემის ქებას დავიწყებთ, უპირველესად ის უნდა ვთქვათ, რომ მათ არ უყვართ ნიჭიერი მოთამაშეების ნაადრევად გაღმერთება და უფრთხილდებიან მათ. სავარაუდოდ, ინგლისში ტონისნაირ განვითარებად ფეხბურთელს ბევრი შანსი არ ექნებოდა.

ხალხი ტონის სხვანაირად უყურებს და აფასებს — არა ისევ, ბოლო გორც სხვა თანამედროვე ფეხბურთელებს. მაგალითად, როგორც კრიშტიანუ რონალდუსა და ლეო მესის, რომლებიც ჩემპიონებად დაიბადნენ. ყველას ესმის, რომ ტონიმ ბევრი იმუშავა იმისთვის, რათა ესწავლა, თუ როდის, სად უნდა გაქცეულიყო და შესაძლებლობები საუკეთესოდ როგორ გამოეყენა. ფანები ამას ძალიან აფასებენ, ყოველდღიურ შრომას ყველა ხედავს და პატივს სცემს. ადამიანების უმეტესობა ხომ ასეთივე ყოველდღიურად მშრომელია.

სწორედ ამიტომ უყვართ ლუკა გულშემატკივრებს, მიუხედავად იმისა, რომ ორ წელზე მეტი არცერთ გუნდში არ გაჩერებულა, იმ ათიდან, სადაც კი უთამაშია. ეს მოგზაური ფორვარდი, რომელმაც 29 წლის ასაკში მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი და „ოქროს ბუცი", გახდა მხოლოდ მეშვიდე მოთამაშე სერია A-ს ისტორიაში, რომელმაც ერთ სეზონში 30 გოლზე მეტი გაიტანა და „ფიორენტინას" რეკორდსმენიც შეიქნა.

ფლორენციასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ადამიანს, ნიკოლო მაკიაველის სჯეროდა, რომ შეუძლებელია, ერთდროულად უყვარდე და შენი ეშინოდეთ კიდეც. თუმცა ლუკა ტონი საპირისპიროს ამტკიცებს და ალბათ კიდევ დიდ ხანს დაამტკიცებს.

ჯეიმს ჰორნკასლი

XXXIII ტური

დღეს

ვოლფსბურგი	:	შტუტგარტი
დუისბურგი	:	ბაიერნი
ჰანზა	:	ლევერკუზენი
ჰერტა	:	ნიურნბერგი
კოტბუსი	:	ჰამბურგი
კარლსრუე	:	ბოხუმი
არმინია	:	დორტმუნდი
ვერდერი	:	ჰანოვერი
შალკე	:	აინტრახტი

გერმანია

ქვემოთ დიდი ამბებია

„ლევერკუზენთან" გამარჯვების შემთხვევაშიც კი, ბუნდესლიგაში შარშან გადმობრძანებული „ჰანზა" დღესვე აიღებს უკან გასაბრუნებელ ბილეთს, თუ „არმინია" „დორტმუნდს" მოუგებს და „კოტბუსი" „ჰამბურგს" ქულას გამორჩება.

„ლევერკუზენი" როსტოკში 2001 წლის შემდეგ არ დამარცხებულა და ამ გუნდების ბოლო ათი მატჩიდან „ჰანზამ" ათივე წაგო.

ამას დავუმატოთ ჰანზელთა ამჟამინდელი ცუდი ფორმაც — ზედიზედ ოთხი მარცხი — და ნათელი გახდება, რომ გუნდს მეორე ბუნდესლიგაში გავარდნისგან სასწაული თუ იხსნის.

„ლევერკუზენს" დისკვალიფიცირებული შტეფან კისლინგი დააკლდება, პაულ ფრაიერი და ქარიმ ჰაგი კი ტრავმირებულნი არიან.

ჰანზელებზე ოდნავ უკეთეს ვითარებაშია „დუისბურგი", რომელსაც, „ბაიერნს" თუ მოუგებს, კიდევ დარჩება ელიტიდან არგავარდნის შანსი. „ზებრებმა" პირველ წრეში გააცეს ოტმარ ჰიცფელდი და მიუნხენში უგოლო ფრე გაახერხეს. ფრეს, შესაძლოა, დღეს გამოჰკრან ხელი, მაგრამ „დუისბურგს" „ბაიერნი" 1979 წლის 8 მაისის შემდეგ შინ თუ გარეთ არ დაუმარცხებია.

„კიკერის" ვერსიით, ჰიცფელდი სათადარიგოებით არ ითამაშებს და „დუისბურგთან" ძირითად შემადგენლობას გაიყვანს. „ბაიერნს" ტრავმირებული ჰყავს მიროსლავ კლოზე და ჰამით ალთინთოფი.

ქვედა სამეულის ლიდერი „ნიურნბერგი" „ჰერტას" ხვდება და აუცილებლად სამი ქულა უნდა აიღოს ბერლინში, სადაც უკვე თორმეტი წელია, არ მოუგია. „ნიურნბერგს" ოთხი წაუგებელი ტური უმაგრებს ზურგს, „ჰერტამ" კი ბოლო ორი მატჩში ექვსი ქულა მიითვალა.

„ვერდერსა" და „შალკეს" შორის მეორე ადგილისთვის ბრძოლა გრძელდება. ბრემენში „ჰანოვერი" ჩადის, გელზენკირხენში კი „აინტრახტი".

„ვერდერმა" 5 აპრილის შემდეგ ექვსიდან ხუთი შეხვედრა მოიგო, „ჰანოვერი" კი ზედიზედ ხუთ ტურში არ დამარცხებულა.

ბრემენელებს დისკვალიფიცირებული ფრანკ ბაუმანი და იურიცა ვრანიეში ვერ დაეხმარებიან.

„შალკემ" ძალიან უნდა მოინდომოს, რომ ბოლო ექვსი თამაშიდან ხუთის წამგები „აინტრახტი" ვერ დამარცხოს. თუმც აქვე ერთიც უნდა ვთქვათ — 1986 წლის შემდეგ „ხუმარებმა" „აინტრახტს" მხოლოდ სამჯერ მოუგეს.

ბიელეფელდის „არმინიას" აუცილებლად გამარჯვება სჭირდება „დორტმუნდთან", რომელმაც გასულ ტურში „შტუტგარტის" ძლევით ბუნდესლიგაში ადგილი დაიბევა.

წინა სამ სეზონში „არმინიამ" დორტმუნდელები შინ სამჯერვე ერთნაირი ანგარიშით (1:0) დაამარცხეს. სტუმრებს ტრავმის გამო მეგოლე მლადენ პეტრიჩი და დიეგო კლიმოვიჩი დაკლდებათ, ხოლო ფორვარდი ნელსონ ვალდესი დისკვალიფიცირებულია.

„კოტბუსი" „ჰამბურგთან" სამ ქულას თუ აიღებს, ბოლო ტურში სანერვიულო აღარ ექნება. მასპინძლებს დასჯილი მცველი სტანისლავ ანგელოვი ვერ დაეხმარება, „ჰამბურგს" კი რომეო კასტელენი და ჟერომ ბოატენგი ჰყავს დაშავებული.

აღსანიშნავია, რომ „კოტბუსის" და „ჰამბურგის" ბოლო ხუთი მატჩი ფრედ დასრულდა.

„ვოლფსბურგს" მეხუთე ადგილზე გადასვლის და უეფას თასზე მოხვედრის შანსი გაუჩნდა. საამისოდ „შტუტგარტის" დამარცხება მართებს, რომელიც ამ სეზონში სტუმრად ცუდად თამაშობს (10 წაგება) და სიცუდით მხოლოდ „ჰანზას" და „ნიურნბერგს" ჩამოუვარდება.

სამ წელზე მეტი გავიდა „შტუტგარტთან" „ვოლფსბურგის" ბოლო მოგებიდან და „მგლებს" ახლა დამატებითი მოტივაცია აქვთ დანავსული სერიის შესაწყვეტად. სტუმარ-მასპინძელთა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები დაშავებულნი არ არიან.

„კარლსრუეს" და „ბოხუმს" თავი ქუდში აქვთ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ალექსანდრეიაშვილის გუნდს ზედიზედ ხუთ საშინაო მატჩში არ მოუგია და შეეცდება, სეზონის ბოლოს ქომაგებს გამარჯვებით ასიამოვნოს.

ვაჟა ხუციშვილი

№		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1	ბაიერნი		1:1	1:1	1:1	4:1	2:1	2:1	3:0	2:0	0:0		5:0	3:1	5:0	2:0	3:0	0:0	3:0	32	20	10	2	61:18	70	11	5	0	37:7	38	9	5	2	24:11	32
2	ვერდერი	0:4		5:1	2:1	4:1	5:2	0:1		4:0	2:1	3:2	2:0	1:2	2:0	8:1	2:0	1:2	1:0	32	18	6	8	68:44	60	12	0	4	42:18	36	6	6	4	26:26	24
3	შალკე	0:1	1:1		1:1	4:1	1:1	1:2	1:1	0:2		1:0	4:1	1:0	5:0	3:0	2:1	2:1	1:0	32	16	10	6	52:32	58	9	4	3	28:13	31	7	6	3	24:19	27
4	ჰამბურგი	1:1	0:1	0:1		4:1	1:0	2:2	1:1		4:1	2:1	1:0	3:0	0:0	1:1	1:0	0:1	2:0	32	13	12	7	40:24	51	8	5	3	23:11	29	5	7	4	17:13	22
5	შტუტგარტი	3:1	6:3	2:2	1:0		1:0	3:1	0:2	3:1	4:1	1:3	1:2	1:0	3:0		3:0	1:0	4:1	32	16	3	13	55:51	51	12	1	3	37:17	37	4	2	10	18:34	14
6	ლევერკუზენი	0:1		1:0	1:1	3:0		2:2	2:0	3:0	0:2	1:2	2:2	2:0	0:0	4:0	4:1	4:1	3:0	32	14	6	12	55:38	48	9	4	3	32:12	31	5	2	9	23:26	17
7	ვოლფსბურგი	0:0	1:1	1:1	1:1		1:2		3:2	1:2	2:2	0:0	4:0	0:1	3:0	1:3	3:1	2:1	1:0	32	13	9	10	50:44	48	6	6	4	24:17	24	7	3	6	26:27	24
8	ჰანოვერი	0:3	4:3	2:3	0:1	0:0	0:3	2:2		2:2	2:1	2:2	2:1	3:2		2:2	2:1	2:1	3:0	32	12	10	10	49:50	46	7	5	4	28:27	26	5	5	6	21:23	20
9	კარლსრუე	1:4	3:3	0:0	1:1	1:0	2:2	3:1	1:2		0:1	2:1	3:1		1:1	0:0	2:0	1:0	1:2	32	11	10	11	37:43	43	6	6	4	22:19	24	5	4	7	15:24	19
10	აინტრახტი	1:3	1:0	2:2	2:1	1:4	2:1	2:3	0:0	0:1		1:0	1:1	1:1	2:1	2:1	1:3		1:0	32	11	10	11	39:47	43	7	4	5	20:22	25	4	6	6	19:25	18
11	ჰერტა	0:0	1:2	1:2	0:0	3:1	0:3	2:1	1:0	3:1	0:3		3:2	2:0	0:0	1:0		2:0	1:3	32	11	8	13	37:40	41	8	3	5	20:18	27	3	5	8	17:22	14
12	დორტმუნდი	0:0	3:0	2:3	0:3	3:2	2:1		1:3	1:1	1:1	1:1		2:1	3:0	6:1	0:0	1:3	1:0	32	10	9	13	46:56	39	7	5	4	27:20	26	3	4	9	19:36	13
13	ბოხუმი	1:2	2:2	0:3	2:1	1:1	2:0	5:3	2:1	2:2	0:0	1:1	3:3		3:3	3:0	3:3	1:1		32	9	11	12	44:51	38	5	9	2	31:26	24	4	2	10	13:25	14
14	კოტბუსი	2:0	0:2	1:0		0:1	2:3	1:2	5:1	2:0	2:2	2:1	0:2	1:2		1:0	1:1	1:2	2:1	32	8	9	15	33:52	33	7	2	7	23:20	23	1	7	8	10:32	10
15	არმინია	0:1	1:1	0:2	0:1	2:0	1:0	0:1	0:2	1:0	2:2	2:0		2:0	1:1		3:1	0:2	4:2	32	8	8	16	31:56	32	7	3	6	19:16	24	1	5	10	12:40	8
16	ნიურნბერგი	1:1	0:1		0:0	0:1	1:2	: 1:0	2:2	0:2	5:1	2:1	2:0	1:1	1:1	2:2		2:0	1:1	32	7	10	15	35:48	31	5	7	4	21:16	22	2	3	11	14:32	9
17	დუისბურგი		1:3	0:2	0:1	2:3	3:2	1:3	1:1	0:1	0:1	1:2	3:3	0:2	0:1	3:0	1:0		1:1	32	8	5	19	32:48	29	3	3	10	17:26	12	5	2	9	15:22	17
18	ჰანზა	1:2	1:2	1:1	1:3	2:1		0:1	0:3	0:0	1:0	0:0	0:1	2:0	3:2	1:1	1:2	2:0		32	7	6	19	27:49	27	5	4	7	16:19	19	2	2	12	11:30	8

იტალია

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

კატანია 1:1 რომა (0:1)

0:1 აკვილანი (72ვ), 1:1 სილვესტრი (75)

კატანია: ბიზარი, სილვესტრე, სილვესტრი, სოტილი, ალვარესი, იცკო, ედუსეი, ბრაჯანტი (ბაიოკო 56), კოლუჩი (გაცოლა 60), ინასიო პია (იანელი 84), მასკარა

მწვრთნელი: ვალტერ ძენგა

რომა: კურჩი, სისინიო, პანუჩი, კასეტი, ანტუნეში, ბრიგი, დე როსი (მასსინი 80), ფიული (ესპოზიტო 64), აკვილანი, პეროტა (ტონეტო 76), ვუჩინიჩი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: პეროტა, კასეტი, ინასიო პია

მსაჯი: მორგანტი

15 000 მაყურებელი

ფინალი: 24 მაისი

რომა — ინტერი

ისევ რომა და ინტერი

რომაელთა გოლი ალბერტო აკვილანის (შუაში) ანგარიშზეა

პირველი მატჩის 1:0 მოგების მერე „რომა" გადახალისებული შემადგენლობით ეწვია „კატანიას" და ფრედ ეთამაშა — 1:1. ეს იმას ნიშნავს, რომ იტალიის თასის ფინალში, რომელიც 24 მაისს გაიმართება, მივჯრით მეოთხედ შეხვდებიან ერთმანეთს „ინტერი" და „რომა".

